

სახალხო გაზეტი

საქართველო

გაზეთის № 1034

ლაგასკის № 182

კვირა, 3 ნოემბერი 1913 წ.

რომანტიული თავგადასავალი

ვანტანგ დევიანიანი.

ვანტანგ დევიანიანი დილით ცუდს გუნებაზე აღდა. მთელი ღამე მას ესიზმრებოდა თითქო მუქა-მუქა უხარშავ ლობიოს სკამდა, ეხლა კი ეგონა, რომ გულ-მკერდის ან თავის ქალის მაგივრად ორ უხარშავარ ცალიერ სარდაფს ატარებდა.

გარეთ მარჯის მზიანი დღე იდგა. მიხეილის პროსპექტზე ის შეჩერდა და ჩაფიქრდა. არ იცოდა საით წასულიყო, მარჯვნივ მუშაიდისკენ თუ მარცხნივ ერეგნის მოედნისაკენ.

— თუ ჩემ წინ პირველად დედაკაცი გაივლის, მუშაიდში წავალ, თუ მამაკაცი — სათავად-აზნაურო ბაღში, გაიფიქრა მან.

გაიარა ორმა ცუდ-რუმელა მხიარულმა გოგონამ. ვანტანგმა თვალი გადადევნა მათი მოქნილი, საესე, თეთრ ტანისამოსში ჩასხმული სხეულის მოძრაობას და თავის გადაწყვეტილების წინააღმდეგ პირი ერეგნის მოედნისკენ იბრუნა.

მას აზრად ჰქონდა ბრძოლა ბედისწერასა და ქალების მიმზიდველობასთან. ამ ბოლო დროს ჰხედავდა, რომ მარცხდებოდა ამ ბრძოლაში. არაჩვეულებრივ მარტოობას და მოწყენილობას განიცდიდა. გრძობდა ქალის სიახლოვის და

აღერის მძაფრ მოთხოვნილებას. მას სწყუროდა სიყვარული, როგორც სწყურია წყალი ცხოველს სიცხიან დღეში, ქვამარილის ლოკვის შემდეგ.

კუკიის ხიდის ახლო პატარა წიგნის მაღაზიასთან გაჩერდა. ფანჯარაში მეტრლინკის დრამების გვერდით გამოფენილი იყო „მეფურთკობის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ და „ანგდოტები კნიაზე სარქისისა“, აღბად საქართველოს რუსებთან გასაცნობად შედგენილი.

ერეგნის მოედანზე ჩვეულებრივი ხმაურობა იდგა, სათავად-აზნაურო ბაღში კი სიწყნარე მეფობდა. სკამზე ჩამოჯდა და ოცნებას მიეცა.

მას გულწრფელად აკვირებდა, რომ საზოგადოთ ტვილისელი ქალები და კერძოდ გავრდელ-გამოიღერლი ასეთ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ცოტა ხნის წინად დასავლეთ ევროპაში ბეგრად უფრო დიდს პატივში იყო. შეუძლებელია, რომ ერთი წლის განმავლობაში გარეგნულად ისე გამოცვლი-

ლიყო, რომ ეხლა ერთი აღერსიანი შეხედვის ღირსიც აღარ ყოფილიყო. არა ცხადია, ეს გარემოება ქართველი ქალების უკან ჩამორჩენით და უკულტურობით აიხსნებოდა. მათ აკლიათ ნიჭი სიყვარულისა, მათ გზინიანთ იმ ტანჯვისა და სიხარულისა, ეს ღვთაებრივი გრძობა რომ ანიჭებს ადამიანს.

მართლაც ვანტანგი მიმზიდველი და შროიანი ყმაწვილი იყო. მშვენიერი, ნისლ გადაფარებული თვალები ჰქონდა, პაწია, მოყვითალო აბრეშუმის ფერი უღვაშები და თხელი, ცოტათი სასტიკი ტუჩები. არ აკლდა განათლების შალაშინიც. პროვინციის გიმნაზიაში მან შეითვისა რუსული ენა, ოდნავ

იმერული აქცენტით შერყვნილი. კურსის დამთავრების შემდეგ ჰანიბალს გარიბალდისაგან ასე თუ ისე არჩევდა, თუმცა ხეირიანად არ იცოდა, თუ რომელს ებოქას ეკუთნოდა თვითეული მათგანი.

შემდეგ რამოდენიმე წელი უცხოეთში დაჰყო. ვენიდან, სადაც ის ერთ რუსის გოგოს დასდევდა, მან მოიტანა ნიცშეს ფილოსოფიური აფორიზმები და მაღალი საყვლოები. ცხადია რომ ამ ავლადიდებით იმერულს სოფელში დიდხანს ვერ დასდებოდა.

როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად, ისე სოფელსაც თავისი ნათელი და ბნელი მხარეები აქვს. თავის სოფლის ერთ უბრწყინვალეს მხარეს ვანტანგი საუცხოვო ადგილობრივს

საქმელებში ჰხედავდა. განსაკუთრებით უყუათო ევროპიულმა საზრდომ შეასწავლა მათი დაფასება. მწვანილს, უღვაშებიან გოქის თავს, ინდოურის საცივს, ჩვილი ყველით გაქვინთილს ხაჰაპურს აღტაცებაში მოჰყავდა. თაყვანს სცემდა აგრედვე ახლად მოკრფეილ ხილს, ახლად დამდგარ შუშხუნა მაქარს.

მაგრამ იგივე ოთხფეხი თუ ფრინველი, რომელიც შემწვარი ან მოხარშული ესოდენ გემრიელი იყო, ცოცხალი და ფეხხედ მოარული მეტის მეტად უხერხულს რასმე წარმოადგენდა. საქონლის ნაკელი მის ყნოსვას აღიზიანებდა, მამლის ნადრევი ყვილი ძილს უფრთხობდა.

მას არაფრად მოსწონდა სოფლის სხვა პირობებიც. მამა მისი უბრალო, გარედ გამოუსვლელი აზნაურიშვილი იყო და ქამა-სმის ეტიკეტისა არაფერი გაეგებოდა. ის ჯდებოდა სტილის თავში გულ-გადედილი, სახელო გადაწეული. იხვს თუ ქათამს ის ისე ანადგურებდა, როგორც ველური კაცის მკამელი თავის ზოყვას: ძვლებს კბილებით ამტვრევდა, ხორცს



განსვენებულის პეტრე ხარისჭირაშვილის ხსოვნის აღსანიშნავი დღესასწაული სტამბოლში, რომელიც გამართა სტამბოლელმა ქართველობამ 10 ოქტომბერს.

(იხ. დღევანდელი „სახ. გაზ.“)



† შარლ ტელიე.

ცავადი მატარებლის გამომგონებელი, რომელიც გარდაიცვალა საფრანგეთში დიდს სიღარიბეში.

მთლიანად ჰყლაპავდა, ხმა მალა ჰხერგდა და ხმა მალა სცოხნიდა. არ ჰხმარობდა არც დანას, არც ჩანგალს, არც სხვა რაიმე კულტურულს იარაღს.

ვახტანგს იმდენი გამბედაობა არ შესწევდა, რომ აეხსნა მამისთვის, თუ როგორ სქამენ ვენის საუკეთესო რესტორანებში, ეს ტლანქი მანერა კი ნერვებს უშლიდა მას.

თავს აბეზრებდა უსიტყვო, გადაჭარბებით მზრუნველი დედაც, რომელიც მუდამ აჩრდილივით უკან დასდევდა და მაშინვე საბანს აფარებდა, როგორც კი სადმე წამოწვებოდა. დედას ეშინოდა, ვახტანგს არ შესცივნოდა ან ვახტანგს არ დასცხობოდა, არ მოშივნოდა ან კუჭი არ აშლოდა: ამ ფიქრში აღამებდა დღეებს და ათენებდა ღამეებს. ვახტანგს კარგად ეძინა, მადაც საკმაო ჰქონდა, ჯანზეც სრულიად საღად იყო.

მაგრამ ის აშკარად ჰხედავდა, რომ სამაგიეროდ სოფლის ატმოსფეროში მისი ფსიხიური მხარე სუსტდებოდა და კლექტდებოდა: მგრძობელობის სიცხოველე ნელდებოდა, ფანტაზიას ფრთა ეკვეცებოდა, აზროვნება სდუნდებოდა. არსად იყო არც წიგნები, არც თეატრი, არც საზოგადოება: ცხადი იყო მას აქ სულიერი სიკვდილი მოელოდა. ნახამთრევის ერთს მშვენიერს დღეს მან გადასწყვიტა თავიდან აეცილებინა ეს საფრთხე და ტფილისისკენ გაემგზავრა.

ოთახი იქირავა კუქიაში ერთ გამოურკვეველ ეროვნების დედაკაცთან, რომელიც ერთნაირად უხეიროდ ლაპარაკობდა ქართულადაც, რუსულადაც და სომხურადაც. შემდეგ შეუდგა ადგილის ძებნას. სახელმწიფო დაწესებულებებში მას უარი უთხრეს როგორც ქართველს, მუნიციპალიტეტში როგორც გაჟაუცდელს. მას ეგონა, რომ განათლებულს ადამიანს სხვაგან თითქმის არსად შეუძლია თავისი შრომის მოხმარა და ამიტომ ბოლოს აირჩია სარბიელი, რომელიც ყველაზე ადვილიც არის და ყველაზე ნაკლებ შემოსავლიანიც—სახელდობ მწერლობა.

რადგან უზენაეს აზრთა, უფაქიზეს გრძობათა გამოსახატავად ჩვენი დედა-ენა არც საკმაოდ მდიდარია და არც საკმაოდ მოქნილი და მუსიკალური, ვახტანგმა იმ თავითვე ერთერთს რუსულ რედაქციას მიმართა. იქ ის ხელ-გაშლილი მიიღეს. მიუჩინეს ერთი პატარა განყოფილება, აგრედვე მაგიდა გაზეთებითა და მაკრატელითურთ, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც აუცილებლად საჭიროა ნაყოფიერი ლიტერატურული შრომისათვის.

საქმეს თავიდანვე ენერგიულად შეუდგა. პატარა ხელმოუწერელი შენიშვნების გარდა ის, ზესტაფონსკის ფსევდონიმით, დრო გამოშვებით გაზეთში ათავსებდა პატარა ფელეტონს, რომელშიაც ყოველი წინადადება ახალი სტრიქონით იწყებოდა. ხან ზ ხან სწერდა აგრედვე ლექსებსაც, სადაც უმღე-

როდა გაზაფხულს, ყვავილებს, ქალის სილამაზეს, სიყვარულს ე. ი. სწორედ იმ საგნებს, რომელთაც უმღერის ყოველი რიგიანი მგოსანი სოფლის დასაბამიდან დაწყებული მეროდ მოსვლამდე.


მაგრამ იმ დიადი, თუმცა იშვიათი წუთების განმავლობაში, როცა მწერალი გულწრფელია საკუთარი თავის წინაშე და ანგარიშს აძლევს საკუთარს სინიღისს, ვახტანგი ნათლად ჰხედავდა, რომ მთელი მისი პოეზია ვიწრო იყო პირვანდელი ქრისტიანების აკლდამასავით ზ მშრალი, როგორც გამურული ეგვიპტელის ცხედარი.

ამ გარემოებას იმით ხსნიდა, რომ მის ეხლანდელ ცხოვრებას აკლდა განცდათა სიმდიდრე და სიცხოველე ტფილისმა მას იმედები გაუცრუვა: აქ ვერ ჰხედავდა საზოგადოებრივი ცხოვრების ჩანასახსაც კი. მან იცოდა რომ რედაქტორს და ზოგიერთს თანამშრომელს ჰქონდა ოჯახი, ჰყავდა ცოლ-შვილი, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია მისი მიპატიეება ან ოჯახთან გაცნობება.

ქართველი საზოგადოება თავს სათავად-აზნაურო თეატრში იყრიდა. აქ ჰხედებოდნენ ერთმანეთს ნათესავები და ნაცნობები და დაუსრულებელი ანტრაქტების დროს ერთი მეორეს იკითხავდნენ. ეს თეატრიც თავისი არაჩვეულებრივად ფართო ეგსტიბიულით და კორიდორებით ამ მიზნისთვის თითქო უფრო მოხერხებული იყო ვიდრე წარმოდგენისთვის. მით უმეტეს, რომ ზალაში ამართულნი იყვნენ რაღაც უმიზნო, უზარმაზარი სვეტები, რომელნიც ხელს უშლიდნენ სცენის დანახვას.


ასეთი შემთხვევითი შეხვედრა თეატრის ფოიეში არაფერს აძლევდა ვახტანგს. მით უმეტეს რომ მის ნაცნობებში არ ერია არც ერთი ცოტად თუ ბევრად მიმზიდველი ქალი.

ხშირად ძალაუწებურად ის კითხვას აძლევდა თავის თავს, შეუძლია თუ არა მწერალს შემოქმედება, როცა მოკლებულია დედაკაცის გამანაყოფიერებელ, გამამხნეველ, განმა-



იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონის საფლავი ტრაპიზონში. ნიშნე შემდეგი წარწერაა: განმეძარცა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველი საფლავსა ამასა შინა, ტომისაგან დავითისა შთაჟმავალი, ბაგრატიონი ქე არჩილისა.

† სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისათვისაც ვითხოვთ ყოველთა მიერ შენდობას. თებერვალს, ზ. ეკს. ეეს. ჩყოე.



რომანოვების საარწყავი არხი თურქესტანის მხარეში. (იხ. დღ. „სახ. გაზ.“)

სპეტაკებელ გავლენას და ძალაუნებურადვე უარყოფითს პასუხს აძლევდა ამ კითხვას.

მაგრამ შეიძლება არასოდეს არ უგვრძნია ისე მძაფრად თავისი მართობა, როგორც ესლა, ამ გაზაფხულის თბილს, მზიან უქმე დღეს. გულის კოვზის ქვეშ გამოუთქმელი კაეშანი აწვა. მთელი მისი არსება გამსჭვალული იყო რალაც გამოურკვეველი ლტოლვით, რაინდობის და თავგანწირვის სურვილით...

* *

მხრებზე მოულოდნელად უცხო ხელის შეხება იგრძნო და უკან მოიხედა. მას უღიმოდა და ხელს უწვდიდა კავკასიძე—მეტეხელი, ქართული თეატრის მსახიობი, რომელიც თავის თავს მის მეგობრად სთვლიდა და გაცნობის პირველი წუთიდანვე შენობით ელაპარაკებოდა. მას თან ახლდა ახალგაზდა უცნობი ქალი.

მსახიობმა ერთმანეთს გააცნო ქალ-ვაჟი:—ბატონი ვახტანგ დევრიანი, მგოსანი და კვალერი, ქალბატონი ელენე შევარდნიძის ასული, ნორჩი თაობის ტურფა მწრთვნილი. შემდეგ თანამხლებელთან ერთად ვახტანგის გვერდით დაჯდა.

კავკასიძე—მეტეხელი ატლეტურად ნაშენი მამაკაცი იყო, შავგრემანი, ბოხხმიანი, მხარ-ბეჭებიანი. არაჩვეულებრივად ხშირი და გრძელი თმა ჰქონდა. ცუდად გაპარსული შავი წვერულვაში ჰფარავდა თითქმის მთელს სახეს, ცხვირის კებს გარდა. ბალანის ბეწოები მოსჩანდა ნესტოებიდან და ყურებიდანაც. სცენაზე ყველაზე უკეთესი მაშინ იყო, როცა არ ლაპარაკობდა, ვგრედწოდებულ პაუზებისა და მუხჯ მომენტების დროს. ამბობდნენ, რომ სამაგალითოდ თამაშობდა ქანდაკების როლს მოლიერის „ლონჯუანში“. მას შემდეგ, რაც ერთხელ საჯარო ლექცია მოისმინა შოპენშაუერისა, ვაინინგერისა და სქესთა საკითხის შესახებ, ის თავის თავს შეურიგებელ მიზოგინად სთვლიდა და მოხერხებულსა თუ მოუხერხებელს ალაგს თავის შეხედულებებს აფენდა გარედ.

ესლაც დაიწყო იქიდან, რომ ბაღში სკამები სულ ქალეზითაა დაქერილი. საზოგადოთ ქვეყანაზე ბევრად მეტ დედაკაცია ვიდრე ეს საჭიროა ადამიანობის კეთილდღეობისთვის. ამერიკაში ქალები ნაკლებად ყოფილა, მაგრამ სამაგიეროდ იქ ისინი კიდევ უფრო დიდს ფასში არიან ვიდრე ჩვენში. კულტურას პირდაპირ საფრთხე მოელის ამ გრძნებიანი, გონებრივად სუსტი მოდგმის ბატონობისაგან.

ვახტანგმა რაინდულად მშვენიერი სქესის მხარე დაიჭირა. მან დამცველი სიტყვა ბორძიკით დაიწყო, მაგრამ ჩქარა კალაპორტში ჩადგა და ბოლოს აღტაცებული ჰიმნით გაათავა.


— პირიქით, კულტურის განვითარება წარმოუდგენელია ქალის მონაწილეობის გარეშე. არსებობს გმირობა დედაკაცობისა, რომლის შესახებაც ისტორია არაფერს ამბობს, მაგრამ ამის და მიუხედავად ის არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ვიდრე მამაკაცის გმირობა და თავგანწირვა. ის მით უფრო მშვენიერია, რომ უტყვი და უსახელოა. ქალი შობს, ქალი თავის მკერდით ზრდის, შობს და ზრდის არა მარტო ადამიანებს, არამედ გრძნობებსა და იდეებსაც. მამაკაცი ისაკუთრებს ამ იდეებს და ჰქმნის დამთავრებულს, ჩამოყალიბებულს ნაწარმოებს. ბრბო სტკბება მომწიფებული ნაყოფით და არაფერს ჰფიქრობს იმის შესახებ, რომ ის ქალის ნაზი და კეთილშობილი ბუნებითაა ნასაზრდოები. ბაირონების, შოპენების თუ როდენების სახელი ყველას პირზე აკერია, მათი დედები, ცოლები და საყვარლები კი, რომელთაც შეიძლება მათი აზრების საუკეთესო ნაწილი ეკუთვნის, არავის ახსოვს. თვით სტრინდბერგი, ეს უძლიერესი და უგულწრფელესი მტერი დედაკაცობისა, ვერ უარყოფს, რომ მისი თხზულებები ქალის ბუნების გაგონებითაა გამოწვეული და ამ არა პირდაპირი მონაწილეობის ბეჭედს ატარებს.

მსახიობი ვერ იცნობდა სტრინდბერგს, მაგრამ ოდნავადაც არ შეუშინდა ამ გარემოებას. ეფექტის გასაძლიერებლად ის გადავიდა რუსულს ენაზე.

— ოჰ, ის თაყვანს სცემს სტრინდბერგს. ჩვენი ხალხს სწორედ ასეთი მწერლები სჭირია. ისინი დაანახებენ, რომ ქალი უარყოფითი რაოდენობაა ანუ უკეთ ვსთქვათ აბსოლუტური არარაობა. დღევანდელი ქართველობა ნაძვილი დედაკაცური ერია. ძველ დროში ჩვენი დედანი ვაჟკაცობდნენ, ესლა კი პირიქით მამაკაცი დედაკაცობენ. ამაზე მეტი უბედურება და შეიძლება? ხალხი დაკნინდა, დაქვეითდა. დაიკარგა თვით ნიჭი ჯანსაღი სიყვარულისა. ქართველს ახალგაზდას აღარ ძალუძს ვაჟკაცურად მიიღოს ქალის სხეული, ძალმომრეობით დაიპყრას ის, ვფხურად შეუტეოს მას. არა, ის თავის სატრფოს ელაქუცება, ლექსებს უწერს, ქათინაურებით უმასპინძლდება. გულის ამრევია ყველაფერი ეს. სხვათა შორის კერძოდ მას, კავკასიძე—მეტეხელს, სრულიად არ სწამს, რომ დედაკაცი გარეგნულად უფრო ლამაზი იყოს, ვიდრე მამაკაცი. ეს ვითომდა მშვენიერი სქესი თვით ქალების მიერ შეთხზული ზედაპირი და ცრუმორწმუნოებაა.

ვახტანგმა ხელზე დაიხვია ეს უკანასკნელი აზრი. როგორც იმერელი, ის ბევრად უფრო კარგი დიპლომატი იყო ვიდრე ქართლელი მსახიობი. მან წარმოსთქვა ლექცია—ესკიზი, რომელშიაც მოკლედ გამოარკვია ქალის მშვენიერების მნიშვნელობა პოეზიისა, ხელოვნებისა და კულტურის მსვლელობისთვის. მან ის დახატა ცის მნათობად, მთელს ქვეყნიეროას რომ გარს უფოს, რათა ყოველგან თავისი ძლიერად სილი, ცხოველყოფელი შუქი მოაფინოს. ის ქედს იხრას ამ დაუქრობელი ლამპარის წინაშე.

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში არის მომენტი, როცა ის თავის თავს გენიოსად გრძნობს და ვახტანგ დევრიანი ამ მომენტს სწორედ ესლა განიცდიდა. ის ლაპარაკობდა რწმენით და აღფრთოვანებით, ხან რუსულად, ხან ქართულად, როგორც ეს მიღებულა. თვითონვე უკვირდა, საიდან გადმოხეთქა ამ მჭერმეტყველობის ნაკადულსა, საიდან გაჩნდნენ ეს უჩვეული აზრები, რომელნიც უწინ არასოდეს მოსვლია თავში. ბოლოს დადუმდა და თავის მაყურებლებს დააცქერდა. მსახიობი გულგრილად იცქირებოდა სივრცეში: სჩანდა, მას კაჟათის საგანი აღარ აინტერესებდა. ახალგაზდა ქალი კი გაუნძრევლად იჯდა, თითქო კიდევ რალაცას ელოდა ვახტანგისაგან. ძალაუნებურად შეადარა ბანჯგვლიანი მსახიობი ამ



კანამის არხი, რომელიც გაყვანილია შუა ამერიკაში და ორ ოკე ნეს აერთებს. არხი კორდილიერების მაღალ მთებ შუა გადის.

სანდომიან ქალწულს. შემდეგ გაიფიქრა: ეს ორი ეგზემპლია-რი ვერაფერი ილუსტრაციაა შოპენჰაუერის ფილოსოფიისა.

ქალი წამოდგა გამოსამშვიდობებლად. მსახიობმა ხელი გაუწოდა აუღგომლად. ვახტანგი წამოდგა, ოდნავ თავი დახარა და ჰკითხა: — ნებას მომკრემთ გაგაცილოთ?

დიდის სიამოვნებით! უპასუხა ქალმა. მას ჰქონდა ის საუცხოო ლითონისებური ხმა, მკერდის სიღრმედიან რომ ამოდის და სიამოვნების ჟრუანტელს ჰგვრის კაცს. სხვაფრივ ელენე შევარდენიძის ასული უფრო მიმზიდველი იყო ვიდრე ლამაზი. მიდიოდა ვაჟის გვერდით ოდნავ მხრებ აწურული, მკერდ გამოწვეული და ჰფიქრობდა, რომ ასე ის ჰგავდა რაიმე უცხო და მშვენიერს ჩიტს, ყველასათვის საყვარელს და საოცნებოს. სახელობო რომელს, არ შეეძლო ეთქვა, მიტომ რომ ჩიტების სახელები არ იცოდა. სოფლის შვილი კი იყო. მისი აწ გარდაცვლილი მამა მღვდელი იყო. უფროს ძმას აფთიაქი ჰქონდა სოფელში და დედასთან ერთად გაუქირვებლად სცხოვრებდა. ელენემ რვა გიმნაზიური კლასის დამთავრების შემდეგ ბედნიერად მიღწია იმ მდგომარეობას, რომ მას აღარაფერი გაეგებოდა სოფლისა და სოფელს მისი. ამიტომ გადასწყვიტა ტფილისში დარჩენილიყო რუსული პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებლად.

როგორც ყოველ ახალგაზდა ქალს, ისე ელენესაც გატაცებით უყვარდა მთვარეანი ღამეები, ყვავილები და ლექსები. ის დიდი ხანია ოცნებობდა ვასცნობოდა ერთ-ერთს ლიტერატორს ან მგოსანს, რომლის შესახებ ტფილისში ლაპარაკობდნენ, სწერდნენ ან ლექციებს ჰკითხებოდნენ. დევრიანის შესახებ თუმცა მას არაფერი გაეგონა, მაგრამ ესლავე მეტის-მეტად კმაყოფილი იყო ამ მოულოდნელი შეხვედრით.

გზაზე ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ. ქალი წასული იყო ოცნებებში. ვაჟი ჰფიქრობდა: აი დუმილის წუთები, როცა დიდი გრძობები იზადებიან მთაწმინდაში, პატარა ერთ სართულიანი სახლის წინ უცვებ გამოერკვივნენ. ელენემ გამომშვიდობებისას უთხრა: — როცა დრო და ხალისი გქონდეთ, მინახულეთ.

მესამე დღეს ვახტანგი გზას გაუდგა სადარბაზოდ. რადგან გაზაფხული იდგა, მან იყიდა შემოდგომის ყვავილები, რამოდენიმე საუცხოო თეთრი მიხაკი. ახალგაზდა მასპინძელი ალტაცებაში მოიყვანა ასეთმა ყურადღებამ. ის შეეცადა საუბრისთვის საინტერესო ხასიათი მიეცა და რადგან თავისი ახალი ნაცნობი დიდ ესთეხად მიაჩნდა, ლაპარაკი ოსკარ უალდზე ჩამოაგდო. ყმაწვილმა კაცმა ხელში აიღო მაგიდაც მდებარე რუსული იაფფასიანი გამოცემა „დორიან გრეის სურათისა“ და ნელ-ნელა ფურცვლა დაუწყო. ქალი გამოტყდა, რომ მას გაგიჟებით მოსწონდა ეს წიგნი, თუმცა სავსებით ვერ ჩასწლოდა მის იდეას. ვახტანგმა გადაჰარბებულად სერიოზული ტონით დაიწყო ახსნა ნაწარმოების დედა აზრისა. ელენემ ყურადღებით მოისმინა ეს კომენტარიები, მაგრამ ვერაფერი გაიგო მისი. ეს გარემოება თავის განუერთებლობას მიაწერა. ბოლოს გადასწყვიტეს თავისუფალ დროს ერთად წაეკითხნათ რამოდენიმე პატარა თხზულება ინგლისელი მგოსანისა.

ორიოდე დღის შემდეგ ელენემ საჩუქრად მიიღო ოსკარ უალდის ზღაპრების შროიანი გამოცემა, მეტის მეტად გრძელი და დახლართული ზედწარწერით შემკობილი. ამ წარწერიდან მან ის აზრი გამოიტანა, რომ ვახტანგ დევრიანი თავის თავს ბედნიერ პრინცს უწოდებდა, მას, შევარდენიძის ასულს, ესპანელ ინფანტას, ოსკარ უალდს კი მგოსანს, რომელმაც ოცნება სინამდვილეზე მალა დააყენა, და ამ სამ პიროვნებათა შორის რაღაც იდუმალს კავშირს ჰხედავდა.

კვირას, ნაშუადღევს გაჩნდა ამ წარწერის ავტორი. ის ნაკლებ ჰგავდა ბედნიერს პრინცს. დაღვრემილი იყო და ოდნავ შუბლ შეკრული. ახალგაზდა ქალმა უგუნებობის მიზეზი ჰკითხა. ვახტანგმა აუხსნა, რომ ის ბუნებით მეღანკოლიური ტემპერამენტისაა, პესიმისტური მსოფლიო მხედველობა აქვს შემუშავებული და ამას გარდა ეხლა სულიერ ობლობას და მარტობას განიცდის. გარშემო ვერაფერს ჰხედავს, რომ თავისი ზრახვა და გულის ტკივილი განუზიაროს. უზომოდ იტანჯება ადამიანური სიტლანქისა, გაუგებრობისა და შურიანობისაგან. ოჰ, ის გრძობს რომ არ ეკუთვნის არც იმ ერს, არც იმ ხანას, მისთვის რომ ბრმა ბედისწერას მიუჩენია. იგლიანე

განდგომილივით ის ნათლად ჰხედავს სხვა ეპოქის შემოქმედებს ხილვას, მაგრამ ამაოდ იწვდის ხელს მისკენ.

ელენეს გული ატკინა ამ სიტყვებმა. გულწრფელად შეებრაღა ეს ნაზი ყმაწვილი. ამ წუთში პირველად განიცადა ის გრძობა, რომელსაც მხოლოდ ქალი იცნობს და რომელიც ასე უცნაურად არის შეზავებული დედაკაციური სინაზისა, ალერსის სურვილისა და დედობრივი მზრუნველობისაგან. მან ინატრა ძალა, რომლის შემწეობით შეიძლებოდა სევდის გაქარვება, ამ ნორჩს გულს რომ ღრღნიდა და ამ მეტყველ თავლებს რომ ჩრდილავდა.

უალდის ზღაპრების კითხვა ნელის ნაბიჯით მიდიოდა წინ. თითქოს მათ გვერდით ვიღაც იჯდა, ვიღაც ძლიერ უცხო და მასთან ერთად ძლიერ ნაცნობი და ხელს უშლიდა მათ. ხან და ხან ისინი ჩერდებოდნენ, თითქო ყურს უკედებდნენ შინაგანი ხმის ჩურჩულს. ხან და ხან ისინი ერთი მეორეს თვალს უსწორებდნენ და უმიზეზოდ იღიმოდნენ, თითქო პასუხს აძლევდნენ საერთო გამოუთქმელს კითხვას.

სალამობით, ვახტანგის წასვლის შემდეგ, ახალგაზდა ქალი დიდხანს რჩებოდა გაუძრავლად, თმა გაშლილი, მაგიდაზე იდაყვ დაყრდნობილი. დილაობითაც ეხლა ჩვეულებრივ ბეგრად უფრო გვიან სდგებოდა. მთელი მისი ნორჩი სხეული ნებიერობის უძლეველ მოთხოვნილებას გრძობდა და ეს გრძობა ოდნავ ათროლოებდა მის ქალწულობრივს მკერდს და თქმობებს. სულს კი ვიღაცის მოფერება უნდოდა, ვიღაცის ალერსი სწყუროდა.

მას აკვირვებდა, რომ აქამდის ვერ იცნობდა ვახტანგ დევრიანს. არა, ის მას ოდესღაც უიქვადლად იცნობდა, მაგრამ დავიწყებული ჰყავდა შემდეგ. მისი სურათი, ბავშვობის დროს გონებაში აღბეჭდილი, დროთა ვითარებისაგან წარხოცილი იყო. ეხლა სცილობდა ჟანგის მოცილობას, პირვანდელი სახის აღდგენას. და აი. ის ჰხედავდა ვახტანგს, არა ისეთს როგორც იყო სინამდვილეში, არამედ ბეგრად უფრო მშვენიერს, გულკეთილთაშილით ტუჩების გარშემო.

ხშირად, როცა თვალბის ჰხუჭავდა, ეგონა რომ მასთან ერთად ნაღით სადღაც წყნარს ზღაპრებ მისცურავდა. ჩამავალი მზის მიერ ნასროლი სვეტი ოქროსფერად ლაპოპაპობდა წყლის ზედაპირზე. ისინი მისდევდნენ ამ სვეტს. ნაპირები თანდათან იკარგებოდა შორს, შორს ცის კიდურში. მაგრამ მას არ ეშინოდა სტიქიონისა. ის ისევე უსაზღვროდ, გულუბრყილოდ ენდობოდა თავის თანამგზავს, როგორც ენდობდა დედა ფრინველს ბარტყი, რომელსაც თავისი ბუდის მეტი არაფერი უნახავს.

რამოდენიმე კვირის შემდეგ ის ვახტანგს შინობით ელაპარაკებოდა. ერთს საღამოს მან ნახევრად შეუგნებოდა თმა გაიშალა და გაისწორა ვაჟის იქვე ყოფნის დროს. ეს არ იყო მხოლოდ დედაკაციური კიკლუცობა. ქალწული იმ უცხო ყვავილს ჰგავს, საღამოობით რომ იკუმშება, რათა დილით ამომავალი მზის სხივებს გულის გაღებით მიესალმოს. ის განსაზღვრულ წუთამდე მორცხვად თავდახრილია. მაგრამ მოდის დრო და ის აჩენს ყველა იმ ფარულ საუნჯეთ, რომელნიც იზიდავს და იპყრობს მამაკაცს.

ვახტანგი მოჰხიზლა და ალტაცებაში მოიყვანა ამ საუცხოო ნაწარებმა. მეორე დღეს მან ცოტა არ იყოს გადაქარბებული გულახდირლობით ლექსი უძღვნა დედაბებრივს ხილვას, როგორც ის მათ უწოდებდა. ელენე მეტის-მეტად ასიამოვნა ამ არაჩვეულებრივმა ძღვენმა. მხოლოდ ცოტათი ის უკვირდა, რატომ შეადარა ვახტანგმა მისი თმა შავს წყალგარდნილს, როცა ის უფრო წაბლისფერი იყო. მან რასაკვირვებელია არ იცოდა, რომ ეს შედარება ერთს გერმანელს მგოსანს ეკუთვნოდა და პოპულარული ანტოლოგიიდან იყო ამოღებული.

(შემდეგი იქნება).

გერონტი ქიქოძე.

